

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში**  
**ცვლილებების შეტანის თაობაზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;**

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება განაპირობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა გარემოს დაცვის სფეროში არსებულმა ლიცენზიებისა და ნებართვების სახეებმა.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;**

კანონპროექტის მიზანია აღმოფხვრას დღეისათვის არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და მოხდეს „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონებთან და სხვა საკანონმდებლო აქტებთან.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;**

კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განმარტებულია ტრემინები "საქმიანობა" და "სამინისტრო".

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებით ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, რადგან კანონის მოქმედ რედაქციაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასახელება მითითებული იყო ძველი რედაქციით.

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც – საზოგადოების ინფორმირების მიზნით სამინისტრო ყოველ სამ წელიწადში ერთხელ წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ. მოქმედი კანონით ეს ვადა განსაზღვრულია ერთი წლით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიური მოხსენებისათვის მოპოვებული მასალები და ინფორმაციები არ იყო სრულყოფილი და არ იძლეოდა ქვეყანაში არსებული გარემოს მდგომარეობის რეალური შეფასების საშუალებას, შესაბამისად, ეროვნულ მოხსენებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ვერ ჰპოვებდა ასახვას ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის განსაზღვრისა და გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შემუშავება განხორციელდეს სამ წელიწადში ერთხელ.

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებს კანონის VI თავის ამოღებას. აღნიშნული თავი ითვალისწინებდა ლიცენზირების საკითხებს გარემოს დაცვის სფეროში. ამ თავის ამოღება მოხდა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გარემოს დაცვის სფეროში არსებული ლიცენზიებისა და ნებართვების აბსოლუტურ ჩამონათვალს ისევე როგორც ყველა სხვა სფეროში არსებული ლიცენზიებისა და ნებართვების ჩამონათვალს ადგენს „ლიცენზიებისა და

ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი. ხოლო აღნიშნული ლიცენზიებისა და ნებართვების გამცემი ორგანოები და მათი გაცემის პროცედურები უნდა განისაზღვროს შესაბამისი დარგობრივი კანონებით (მაგალითად: „წყლის შესახებ“, ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „წიადის შესახებ“, საქართველოს ტყის კოდექსით და ასე შემდეგ).

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-8 პუნქტით ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რადგან კანონის მოქმედ რედაქციაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასახელება მითითებული იყო ძველი რედაქციით.

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტებით ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რადგან კანონის მოქმედ რედაქციაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა ან/და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასახელება მითითებული იყო ძველი რედაქციით.

კანონპროექტის მე-13 და მე-15 პუნქტებით ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის 35-ე მუხლი და 37-ე მუხლის პირველი პუნქტი, რადგან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ადრე არსებულ „გარემოს დაცვის ნებართვა“-ს შეეცვალა სახელწოდება და გახდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვა“.

კანონპროექტის მე-14 და მე-16 პუნქტებით ხდება კანონის 36-ე და 38-ე მუხლების ამოღება, რადგან ეკოლოგიური ექსპერტიზასთან და გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ კანონპროექტები „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;**

კანონპროექტის მიღება დამატებით გავლენას არ მოახდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;**

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;**

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ გავლენას არ მოახდეს იმ პირებზე ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა აქვთ მიღებული საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს;

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ კანონპროექტის მიმართ გამოთქმული იქნა გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონპროექტის წინამდებარე რედაქციაში;

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი;**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.